

## რეკონსტრუქცია

**ნინო დობორჯგინიძე. ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები: პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII სუკუნეების ქართულ წყაროებში, დანართი I ანტიოქიური ხელნაწერები, დანართი II ეფრემ მცირის მეტატექსტები, 252 გვ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012.**

ილიას სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ ნინო დობორჯგინიძის მრავალწლიანი შრომა შუასაუკუნეების საქართველოში ენის პრობლემის, მისი თეორიისა და პრაქტიკის შესახებ კიდევ ერთი პუბლიკაციით დაგვირგვინდა. 2009 წელს ვისბადენში გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ მის მონოგრაფიას „ქართული ენა შუასაუკუნეებში“ (Die georgische Sprache im Mittelalter) 2010 წელს მოყვა „ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები: რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა ინტერპრეტაციის ცდა“ (იხ. რეცენზია: კადმოსი 3/2011, გვ. 445). ამჯერად კი სამეცნიერო საზოგადოება მის მორიგ მონოგრაფიას ეცნობა.

თუ წინა ნაშრომებში ავტორი ენის პრობლემას სოციალური ისტორიის, ეროვნული იდენტობისა და ლეგიტიმაციის კუთხით იკვლევდა, წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართველ მთარგმნელთა მოღვაწეობის კონცეპტუალურ მხარეს, რომელიც აქამდე სათანადო მასშტაბით და სიღრმით შესწავლილი არ ყოფილა.

მონოგრაფია სამი ნაწილისგან და მასში შემავალი თავებისა და პარაგრაფებისგან შედგება. პრობლემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, ამ მოკლე რეცენზიაში მხოლოდ რამდენიმე პრობლემას შევხვები.

კვლევის ძირითადი ობიექტია ე. წ. „ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული და მთარგმნელობითი მეტატექსტები“, რომლებიც გარკვეული ხანიდან მთარგმნელობით მოღვაწეობის პარალელურად იქმნებოდა. მათი ავტორები – პროფესიონალი მთარგმნელები ამჯერად ფილოლოგებად გვევლინებიან, რომლებიც რეფლექსიას ახდენენ ნათარგმნ ტექსტზე, ამოწმებენ მის ავ-კარგს, ენის ინსტრუმენტალურ შესაძლებლობებს. მეტატექსტების მოთხოვნილება გაჩნდა მას შემდეგ, რაც ათონის მთაზე ბერძნებთან თანაარსებობის პირობებში ქართული ენის სტატუსის საკითხი დაისვა. რა არის ეს ქართული ენა, ძალუცს თუ არა მას მხარი

აუბას ბერძნული ენის სიმდიდრეს, მოქნილობას, ფილოსოფიურ სიღრმეს; შეუძლია თუ არა მას შესატყვისი მოუძებნოს ბერძნულის ლინგვისტურ და საღვთისმეტყველო რესურსებს; არის თუ არა ავთენტური ქრისტიანობის ფუძემდებლური ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანები. ავტორი წერს: „ბერძენთა გამუდმებული საყვედური ქართული ენის გამომხატველობითი საშუალებების სიღარიბესთან დაკავშირებით, რასაც არც ქართველები უარყოფდნენ, არათუ აბრკოლებდა, პირიქით, სხვა მიზეზებთან ერთად განსაკუთრებით უწყობდა ხელს თარგმანთა მრავალგზის გადამუშავებას, რედაქტირებას, ტექსტების ხელახლა თარგმნას, შესაბამისად, სამეცნიერო ენის, ტერმინოლოგიის დაზუსტებას, დახვეწას“ (გვ. 41).

ქართველ მოღვაწეთა წინაშე გაცნობიერდა, როგორც ავტორი მოხდენილად სახელდება „ენის სიღარიბის ტოპოსი“, როცა ისინი პირისპირ აღმოჩნდნენ იმ ფაქტის წინაშე, რომ „ბერძენთა ენა უფსკრულ ღრმა არს.“ მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყვნენ საკუთარი ენობრივი სიღუბჭირის გამო, ქართველობამ, წერს ავტორი, „დაძლია სიღარიბე და „ულონობა“ შექმნა „მდაბიორთაგან მესხუე“ (პეტრიწი, ზ.კ.) ცნობითი ენა და გაუტოლდა „გონიერთა ხედვათა მომმარჯვე“ (პეტრიწი, ზ.კ.) ბერძნულს.“ ბერძნული ენის უფსკრულმა, კვლავ მეტაფორულად რომ ვთქვათ, ქართველი მთარგმნელი თავისი ენის უფსკრულში ჩაახედა და გამოაძებნინა აქამდე დაფარული გამომსახველობითი რესურსები, რამაც ეფრემ მცირესა და პეტრიწის ეპოქაში მწვერვალს მიაღწია და დღემდე მისი კვალი თვალსაჩინოა. აი, ასეთი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა ბერძენთა ეჭვები და საყვედურები. ზოგი ჭირი მარგებელიაო. ეს დაეჭვებანი და მხილებანი ქართველებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. აღიარება ნაკლისა (მაგალითად, ერთი მეტატექსტი აღიარებს, რომ ქართულ ენა ტერმინოლოგიურად ერთმანეთისგან ვერ განარჩევს ბერძნ. *პმევმასა და ფსუქეს* და ორივე სიტყვა-ცნებას ერთი სიტყვით „სულით“ აღნიშნავს, და დღემდე ასეა), თუ ის ბუნებითად თანდაყოლილი არ არის, მისი დაძლევის საწინდარი შეიძლება ყოფილიყო. ეს პრობლემა – გამომსახველობითი ხარვეზი თავის დროზე ბერძნულთან მიმართებით ლათინურში გაცნობიერდა. ბერძნული ენის შესაძლებლობათა ფონზე ციცერონს შეეძლო დათანხმებოდა აღიარებას, „ამბობენ, ჩვენი ენა ღარიბიაო“ (გვ. 27). ცხადია, სიღარიბე პირობითი რეალობაა: ლათინური ენის სული ამ სიღარიბის კომპენსაციას სხვა სფეროში ახდენდა, კერძოდ, მან იურისპრუდენციაში მიაღწია სრულყოფას, რითაც ბერძნული ამკარად დაჩრდილა. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ქრისტოლოგიურ ცნებათშემოქმედებაში ლათინურს ჩავარდნები ჰქონდა, რაც ერესების ხიფათს აჩენდა. მაგა-

ლითისთვის, მან ვერ შეძლო ტერმინოლოგიურად აესახა ბუნება-არსებასა და ჰიპოსტასს შორის ფუნდამენტური განსხვავება. ამ მხრივ, ბუნებრივია, მეტ სიძნელეს წააწყდებოდნენ წმიდა წერილისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის ქართველი მთარგმნელები. ტერმინოლოგიური ქაოსი, განურჩევლობა, მოუქნელობა სუფევს ადრეული ხანის ნათარგმნ ტექსტებში, რაც უხვ მასალაზე არჩენა ედ. ჭელიძემ („ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია“, 1997). „ტერმინოლოგიურ ნაირგვარობათა უსიერი ტევრი“ – ასე დაახასიათა მკვლევარმა ეს სურათი.

მიუხედავად „ბერძნულთან მისი უთანასწორობისა“, ქართულმა ენამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ფუნქციური თვალსაზრისით [ბერძნულს] თანასწორი“ სტატუსი მოიპოვა (გვ. 40), თუმცა ეს სტატუსი ათონამდელ პერიოდში, როგორც ჩანს, უკვე მოპოვებული იყო („ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების...“). მაგრამ ქართული ენობრივი იდეოლოგია უფრო შორსაც მიდის, კერძოდ, მას არ აკმაყოფილებს ოდენ ფუნქციური თანასწორობა, დობა ამ ორი ენისა, „ვითარცა მარიამისა და მართასი“ და, თუმცა „ქებაის“ ავტორი არ აზუსტებს, რომელია ამ ორი ენიდან საკრალური მარიამი და რომელია პროფანული მართა, მაინც იგი კადნიერად ქართულ ენას თვისობრივ უპირატესობას ანიჭებს, სახავს რა მას ესქატოლოგიური ინსტრუმენტად და საიდუმლოს შემნახველ საუნჯედ („ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“).

ავტორი „ენის სიღარიბის ტოპოსს“ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონტექსტში განიხილავს, რაც რომისა და ბიზანტიური ეკლესიების ენობრივი პოლიტიკის განსხვავებულობას ათვალსაჩინოებს. თუმცა განსხვავება უფრო შორსაც მიდის და, საბოლოოდ, ეკლესიური მოწყობის სფეროში იჩენს თავს. დასავლურ ოპოზიციას ლათინური/ადგილობრივი ხალხური ენები – აღმოსავლეთში ენაცვლება ოპოზიცია ბერძნულსა და ეროვნულ (ქართულ, სირიულ, სლავურ ენებს) შორის, რომელთაც ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოების მსგავსი გზა გაიარეს“ (გვ. 41). ამ ენებმა ძალა მოიცეს, მოპოვეს ლეგიტიმაცია, თვითდაჯერებულობა იმ პერიოდში, როცა დასავლეთში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ლათინურის, როგორც ერთადერთი საეკლესიო (სალიტურგიო) ენის, ავტორიტეტი, რაც გვიანამდე, რეფორმაციამდე გაგრძელდა. ერთი ენის, ლათინურის კანონიკურობამ, ხალხური ენების სისუსტის ფონზე, დასავლეთში სხვა ფაქტორებთან ერთად დააბრკოლა ადგილობრივი ეკლესიების წარმოშობა, განსხვავებით ბიზანტიური სამყაროსი, სადაც ავტოკეფალურობის პრინციპი მოქმედებდა, რაც პენტარქიის მომდევნო საფეხურად უნდა გავიაზროთ.

ავტორი სამართლიანად ხედავს მკვეთრ დაპირისპირებას დასავლურ და აღმოსავლურ საქრისტიანოს შორის ენობრივი პოლიტიკის საკითხში. „ეკლესიათა ერთობა, რელიგიური ზენაციონალიზმი, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც ენის გზით გამოიხატებოდა, მაგრამ ზენაციონალობის აღმოსავლური სიმბოლო რადიკალურად განსხვავდებოდა რომის ეკლესიის კონინესაგან“. განსხვავება მართლაც თვალსაჩინოა, ეს ისტორიული ფაქტია, მაგრამ რამდენად არის ის რადიკალური. უნდა შევნიშნოთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული ენა ვერ გახდა იმ ძალის კონინე, როგორც ლათინური იყო საუკუნეების მანძილზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბერძნულმა ენამ ბიზანტიის იმპერიაში დაკარგა ნაციონალური ენის სტატუსი, რამაც იგი ქრისტიანული იმპერიის ზენაციონალურ ენად გარდასახა. ის იყო არა ბერძენთა, არამედ რომაელთა (Ρομῶνα), როგორც იმპერიის (resp. საქრისტიანოს) მოქალაქეთა და ქრისტიანული მოძღვრების დედა ენა, რომლის მიმართ სხვა ენები მხოლოდ შვილები შეიძლება ყოფილიყვნენ. ბერძნულის ზეეროვნულობისა და უნივერსალობის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ კირიელეისონი, რომელიც ინკრუსტირებულია ქართულენოვანი ლიტურჯის ტექსტში.

ყურადღებას იმსახურებს „ეფრემ მცირის ტექსტის თეორია“ (როგორც ავტორი სახელდება ამ მეტატექსტის შინაარსს), თუმცა არასაკმარისად მიმაჩნია მისი თემატიზაცია – მან მხოლოდ სქოლიოში მოიპოვა ადგილი (გვ. 53, სქ. 26). საგულისხმოა ეფრემ მცირისეული შენიშვნა, იმის თაობაზე, რომ ექვთიმემ, მთარგმნელობაში მისმა წინამორბედმა, „სიტყუამოკლე მოძღურისა და განავრცის ლიტონისა ერისათეს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩვლ მისდადმდე. ამისთეს რაღსმე თარგმანთაგანიცა წმიდისა სიტყუათა შინა განეზავა“. ეს „სიჩვილე“ (სიჩროება), დღეს როგორც ვიტყვით, მოუმწიფებლობა ქართველთა ნათესავისა ხომ არ არის შესატყვისი მისივე ენის სიჩვილისა, მოუმზადებლობისა თუ გაუმზადებლობისა რთული საზრდელის მისაღებად (ანუ სათარგმნელად)? არც მიმღების გონებაა მზად და არც მისი ენა? აქედან ჩანს, თითქოს ამ ხანში, რომელიც შორავს ექვთიმეს დროს ეფრემ მცირის დროისგან, ქართველთა ნათესავი იმდენად მომწიფდა და „გულისკმისყოფელი“ გახდა, რომ წმიდა, განუზავებელი ღვინის მიღება შეძლო? თუმცა ნიკოლოზ გულაბერისძე საუკუნენახვერის შემდეგაც არ არის დიდი აზრის ქართველთა ნათესავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. ბერძენთა საპირისპიროდ, ქართველებს „არარაა უკუე ოდეს ჰქონებინ ჩუეულებად ფილასოფოსობისა და სწავლულეობისა და გამოძიებათა და ენათა მჭევრობათა“ (ნიკოლოზ გულაბერისძე, „საკითხავი და გალობანი სვეტიცხოველისანი“, 2007, გვ. 47). ეს თვი-

სება, რომელიც განასხვავებს ქართველობას ბერძენთაგან, ფუნდამენტური (ბუნებითი) ჩანს, მომწიფებას იგი არ უნდა ექვემდებარებოდეს, ამიტომაც არის, რომ იერუსალიმიდან ჩამოსული ქართველი იდეოლოგი ინტელექტუალური ნაკლოვანების საკომპენსაციოდ აქცენტს რწმენაზე და სულიერ ზეპურობაზე (ღვთივრჩეულობაზე) აკეთებს.

ნაშრომში თემატიზებულია ტერმინოლოგიის მეტაფორულობა – აღმოსავლური ტექსტების დასავლურისგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. მაგალითისთვის, გრიგოლ ნაზიანზელის და, საზოგადოდ, კაპადოკიელთა თეოლოგია პირწმინდად მეტაფორულია. მაგრამ ამჯერად ავტორს მხედველობაში აქვს მეტაფორულობა თავად ქართულ მეტატექსტში. „ძველი ქართველი ავტორები იმპლიციტურ დონეზე – მეტაფორების მეშვეობით – აღწერენ თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს“ (გვ. 168). ამ მოვლენას, რომელზეც აქამდე არ შეჩერებულა ყურადღება ქართველ სწავლულთა მხრიდან, წიგნის ბოლო, მე-3, ნაწილის დამაგვირგვინებელი თავი ეძღვნება (გვ. 164-182). საგულისხმოა, რომ მეტაფორები, რომლებითაც მთარგმნელობით-შემოქმედებით პროცესი აღიწერება ქართველ მთარგმნელთა მეტატექსტებში, ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროდან არის მოხმობილი: ეს არის, ერთი მხრივ, მეტალურგია, როდესაც ბრძმედი ბრძენისგან და თიხისგან ოქროს გამოარჩევს, და, მეორე მხრივ, ბუნებრივი შემოქმედება ფუტკრისა, რომელიც ნაირ-ნაირი ყვავილებისგან სრულიად განსხვავებულ პროდუქტს – თაფლს ამზადებს. ამრიგად, მთარგმნელი ქართველ მთარგმნელთა წარმოსახვაში, საბოლოოდ, არის ის შემოქმედი, ვინც ბუნებას, ბუნებრივ მოცემულობას კულტურად, ადამიანისთვის მოსახმარ ნაყოფად, ორმხრივ – ნივთიერ და სულიერ საკვებად გარდაქმნის. აქედან გამომდინარე, ავტორი სრულიად კანონზომიერად ასკვნის, რომ ქართველ მთარგმნელთა თანახმად, „ტექსტის კითხვის მოტივი ესთეტიკური სიამოვნების მიღება კი არაა, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვების მომზადება“ (გვ. 182).

დასკვნის სახით, ამ მოკლე მიმოხილვიდან, რომელიც ნაშრომში წამოჭრილ საკითხებს და პრობლემათიკას, ცხადია, სრულად ვერ მოიცავს, უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა მონოგრაფია, რომელსაც, ვიტყვით თამამად, პრეცედენტი არ აქვს. იგი როგორც ინფორმაციულად და, რაც მთავარია, ფაქტების ახლებური გაშუქებისა და მიდგომების კუთხით ბევრ საგულისხმოს თავაზობს როგორც ენათმეცნიერს, კულტუროლოგს, ისე, ზოგადად, ჰუმანიტარული დარგის მკვლევარს და, თუნდაც, ფართო მკითხველ საზოგადოებას.

**ზურაბ კიკნაძე**

## BRIEF REVIEWS

***Nino Doborjginidze. Linguistic-Hermeneutical Metatexts: Practical Grammar and Hermeneutics in 10<sup>th</sup>-13<sup>th</sup> Century Georgian Sources. Appendix I: Antiochian Manuscripts, Appendix II: The Metatexts of Ephrem Mtsire, Ilia State University, Tbilisi, 2012, 252 pp. (In Georgian)***

The Old Georgian philological tradition includes the practice of commenting on texts, developing a textological apparatus, and preparing publications. At the same time, this tradition has a clear-cut conceptual aspect, which is the main subject of this book. (Zurab Kiknadze)

***Kakha Katsitadze. HOMO MILITARIS: Man the Warrior, Vol. 1, Community and Brotherhood, Polygraph Publishers Tbilisi, Tbilisi. 2011, 304 pp. (In Georgian)***

This book attempts to reveal the relationship between predator behaviour (bear, wolf, boar, lion, etc.) and the type of warfare practiced by combatant peoples. It also discusses archaic military symbols in the same light. This work, which offers a vast amount of information and original findings, was planned to be continued in following volumes, but the author's intention has remained unfulfilled. (Zurab Kiknadze)

***Georgian Hagiographical Texts: Old Georgian Texts and their Versions in Modern Georgian, Vol. 1, Tbilisi, 2008; Vol. 2, Tbilisi, 2007; Vol. 3, Tbilisi, 2008. (In Georgian)***

Old Georgian can be seen as a linguistic system almost independent of modern Georgian in terms of grammatical structure and vocabulary. Therefore, some old Georgian texts are sometimes quite difficult for a modern reader to understand, their sophisticated meaning being only part of the challenge. Along with its practical value – that is, comprehension at a language level – translations of old Georgian texts into modern Georgian also have a significant cognitive function as they contribute to the enrichment of the field in question with relevant terms and means of expression. (Nugzar Papuashvili)